საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/5115
08/04/2022

5115-2-03-2-202204081706

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ფშაველში მდ. სტორის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის №21115 სკრინინგის განაცხადის თაობაზე თქვენი №14083/01 29/12/2021 წერილით წარმოდგენილ შენიშვნებთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

ზემოაღნიშნულ განაცხადში მითითებული კოორდინატების ფარგლებში, მდ. სტორის მარცხენა ნაპირზე დინამიკაში გააქტიურებული ეროზიული პროცესების შესაჩერებლად მეტად მნიშვნელოვანია მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების დროულად გატარება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ადგილობრივ მოსახლეობაზე მიყენებული ზიანი. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით დეპარტამენტის დაკვეთით დამუშავდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ამასთან, დეპარტამენტი, ითვალისწინებს რა მდ.სტორის მარჯვენა მხარეს გვერდითი ეროზიული პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებულ მეწყრული სხეულის რეაქტივაციის რისკს, უახლოეს პერიოდში გეგმავს მდ. სტორის აღნიშნული მონაკვეთის ადგილზე მოკვლევასა და შესაბამისი საინჟინრო-სარეკომენდაციო წინადადების შემუშავებას, რის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი ნაპირდაცვითი ღონისძიებების საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების დავალება და გამოცხადდება ტენდერი აღნიშნული ობიექტის ნაპირდაცვითი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით.

რაც შეეხება თქვენს რეკომენდაციას ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ რომ საინჟინრო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საპროექტო ორგანიზაცია ეყრდნობა „მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისათვის მდგრადი კალაპოტის საანგარიშო მეთოდურ მითითებებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი”-ს შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, გიგზავნით სათანადო

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის ანგარიში (ელ. ვერსია);
Shp ფაილები (ელ. ვერსია).

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე